საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, FACULTY OF CIVIL ENGINEERING EDUCATIONAL AND RESEARCH CENTRE

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთი: შპს „აა2“

ს/კ № 405141537

მისამართი: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკ. №49. ბ. 31



ტელ: 2 36 54 00; 2 36 39 96;

კოსტავას №68ბ I სართული

tel: 2 36 54 00; 2 36 39 96

I floor 68b Kostava str

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, FACULTY OF CIVIL ENGINEERING EDUCATIONAL AND RESEARCH CENTRE

06 / 12 / 2016 წელი

ვამტკიცებ საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისში, მოსაშვილის ქ. №26-ში შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ზეგავლენის შეფასება მიმდებარე ნაგებობებზე

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო,
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
ხელმძღვანელი /ვ. დვალიშვილი/

№ 664-2016-2 „01“ დეკემბერი 2016 წ.

№ტე 40-2016-7

თბილისი 2016

სარჩევი

1. შესავალი ---------- 4
2. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის უბნის მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა, დაზიანებების დაფიქსირება და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ---------- 5
3. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის პროცესის ზეგავლენის შესწავლა მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე --------- 7
4. საექსპერტო დასკვნა ---------- 12
5. ლიტერატურა ---------- 14

1. შესავალი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, შპს „აა2“-ს დაკვეთით (ხელშეკრულება №664-2016-2, 01 დეკემბერი 2016 წ).

სამუშაოს მიზანია ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის პროცესის ზეგავლენის შესწავლა მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე, მათ უსაფრთხო ექსპლოატაციაზე და ამ მიმართულებით საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ღონისძიებების საკმარისობის შეფასება.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია შემდეგი საპროექტო დოკუმენტაცია:

- მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რომელიც შესრულებულია შპს „გეოინჟმშენინვესტი“-ს მიერ, შემსრულებლები ინჟინერ-გეოლოგები გ. რაზმაძე;
- ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, მშენებარე შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის ქვაბულის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (მუშა პროექტი), რომელიც შესრულებულია შპს „კაპიტელი“-ს მიერ, კონსტრუქტორი მ. მუხიგულიშვილი;
- ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, მშენებარე შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ორგანისაციის პროექტი, ავტორი - თ. ალავერდაშვილი.

2. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის უბნის მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა, დაზიანებების დაფიქსირება და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში (ს/კ 01.14.11.022.002) მდებარე მიწის ნაკვეთზე დგას 4 სართულიანი შენობა (სურ. 1, 2, 3). მისი დემონტაჟის შემდეგ აღნიშნულ ნაკვეთზე უნდა აშენდეს შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლი. აღნიშნულ შენობას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის განკუთვნილი შემოღობილი ტერიტორია (სურ. 4); დასავლეთის მხრიდან მოსაშვილის ქუჩა №24-ში (ს/კ 01.14.11.022.012) მდებარე 5 სართულიანი შენობა (სურ. 5, 6); ჩრდილოეთის მხრიდან მოსაშვილის ქუჩა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მოსაშვილის ქუჩა №74/11-ში (ს/კ 01.14.11.001.001) მდგარი 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი (სურ. 7); სამხრეთიდან ფალიაშვილის ქუჩა №87ბ-ში (ს/კ 01.14.11.022.005) არსებული 3 სართულიანი ნაგებობა (სურ. 8).

პროექტის მიხედვით ქვაბულის ძირის ჩაღრმავება **H**=7,00მ-ია. პროექტის მიხედვით ქვაბულის კედლების გამაგრება განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციით - ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებით შესრულებული ფარდის, ე.წ. „კედელი გრუნტში“ გამოყენებით. СП 22.13330.2011 „ОСНОВАНИЯ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ“-ს, თავი 9, მუხლი 9.36-ზე დაყრდნობით, მშენებარე ნაგებობის გავლენის ზონის რადიუსი **R=2H=**14 მ-ით შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე მოსაშვილის ქუჩა №74/11-ში (ს/კ 01.14.11.001.001) მდგარი შენობა გავლენის ზონაში არ მოხვდა, რადგან ამ შენობებამდე ქვაბულის კიდიდან მანძილი აღემატება 30 მ-ს. შესაბამისად ამ შენობის გამოკვლევა არ ჩატარებულა. გამოკვლევა ჩაუტარდა მხოლოდ ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87ბ-ში(ს/კ 01.14.11.022.005) და ი. მოსაშვილის ქუჩა № 24-ში (ს/კ 01.14.11.022.012)მდებარე ნაგებობებს.

შენობა №1 - ქ. თბილისში, ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87ბ-ში (ს/კ 01.14.11.022.005)

მდებარე შენობა დანიშნულების მიხედვით წარმოადგენს 3 სართულიან საცხოვრებელ სახლს.

კონსტრუქციული თვალსაზრისით იგი კომპლექსური კონსტრუქციებით არის გადაწყვეტილი, გამოყენებულია აგურის და მცირე ზომის ბლოკის კედლები, რკინაბეტონის და ლითონის ჩანართებით, რომლებიც არ ქმნიან სრულ კარკასს. ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღნიშნულ შენობაზე ბზარები, ჯდენები, გადახრები და სხვა რაიმე სახის დაზიანებები არ ფიქსირდება.

აღნიშნული შენობა საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის СП 22.13330.2011 „ОСНОВАНИЯ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ", დანართი „Ე", ცხრილი Ე.1-ის მიხედვით, არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და ტექნიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მიეკუთვნება II კატეგორიას.

შენობა №2 - ქ. თბილისში, ი. მოსაშვილის ქუჩა №24-ში (ს/კ 01.14.11.022.012) მდებარე შენობა დანიშნულების მიხედვით წარმოადგენს კომერციულ და საოფისე ფართს, იგი უშუალოდ მოდგმულია ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში (ს/კ 01.14.11.022.002) მდებარე შენობაზე (სურ. 5).

ვიზუალური დათვალიერების შედეგად შენობის კედლებზე ბზარები, ჯდენები, გადახრები და სხვა რაიმე სახის დაზიანებები არ ფიქსირდება. აღნიშნული შენობა საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის СП 22.13330.2011 „ОСНОВАНИЯ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ", დანართი „Ე", ცხრილი Ე.1-ის მიხედვით, არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და ტექნიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ამრიგად, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში (ს/კ 01.14.11.022.002)მდებარე მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის უბნის მიმდებარე, ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87ბ-ში (ს/კ 01.14.11.022.005) და ი. მოსაშვილის №24-ში (01.14.11.022.012) მდებარე შენობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინა, რომ აღნიშნული ნაგებობები, СП 22.13330.2011 „ОСНОВАНИЯ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ", დანართი „Ე", ცხრილი Ე.1ს მიხედვით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ისინი ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით განეკუთვნება I კატეგორიას.

3. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის პროცესის ზეგავლენის შესწავლა მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე

მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში (ს/კ 01.14.11.022.002) მდებარე მიწის ნაკვეთზე. როგორც ზევით აღვნიშნეთ პროექტით გათვალისწინებულია შერეული ფუნქციის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მშენებლობის დაწყებამდე უნდა მოხდეს ი. მოსაშვილის ქ. №26-ში (ს/კ 01.14.11.022.002) მდებარე შენობის დემონტაჟი. უსაფრთხოების მიზნით იგი უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და სხვა რეგულაციების სრული დაცვით, სპეციალურად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის საფუძველზე.

ასაშენებელი მრავალსართულიანი სახლი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 16,80×39,30 (მ). მას გააჩნია ორი მიწისქვეშა და 12 მიწისზედა სართული. –II და -I სართულებზე განთავსებულია ავტოფარეხი. პირობით ნიშნულს ∇±0.00 (I სართულის იატაკის დონე), შეესაბამება აბსოლიტური ნიშნული ∇466,60 მ.

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში(ს/კ 01.14.11.022.002) მდებარე მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (ავტორი თ. ალავერდაშვილი) დამუშავებულია ნორმატიული დოკუმენტში СНиП 3.01.01.85 „Организация строительного производства“ მოცემული ძირითადი დებულებების და მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროექტში დეტალურად არის მოყვანილი სამშენებლო მოედნის და ნაგებობის აღწერა და ლოგიკურად არის გაკეთებული აქცენტი მშენებლობის უაღრესად შემჭიდროვებულ პირობებზე. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობებიდან გამომდინარე გრუნტის წყლების დამყარებულ

სტატიკურ დონეს შეესაბამება მიწის ზედაპირიდან 3მ. წყალი ხასიათდება მაღალი მინერალიზაციით და ძლიერ გამოხატული სულფატური აგრესიით, ამიტომ სავსებით გამართლებულია რეკომენდაცია ნაგებობის მიწისქვეშა კონსტრუქციულ ელემენტებში, Гост 22266-94 „Цементы сульфатостойкие“-ის მიხედვით, სულფატმედეგ ცემენტებზე დამზადებულ W_4, W_6, W_8 წყალშეუყწევადობის ბეტონის გამოყენების აუცილებლობაზე.

ქვაბულის პროექტში, რომელიც შესრულებულია ნორმატიული დოკუმენტების СНиП 3.02.01-87 „Земляные сооружения, основания и фундаменты“ მოთხოვნების სრული დაცვით, ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით (იხ. საინჟინრო გეოლოგიური დასვნა), გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მეზობელი შენობების, ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87ბ-ში (ს/კ 01.14.11.022.005) და ი. მოსაშვილის ქუჩა №24-ში (ს/კ 01.14.11.022.012) მდგარი შენობების მდგრადობას და უსაფრთხოებას. კერძოდ, სამუშაოები სრულდება შემდეგი თანმიმდევრობით:

თავდაპირველად სრულდება ქვაბულის დამუშავების I ეტაპის სამუშაოები ∇463.5 მ. ნიშნულამდე;

∇463.5 მ. ნიშნულზე ტარდება წყალქცევითი სამუშაოები (დრენაჟი) ატმოსფერული და გრუნტის წყლების მოცილების მიზნით;

ქვაბულის ფსკერზე, პროექტის შესაბამისად, ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის გარე პერიმეტრის გასწვრივ, ეწყობა ერთმანეთში ჩასმული ნაბურღ-ნატენი ბეტონის და რკინაბეტონის ხიმინჯების ფარდის მონტაჟისთვის ბეტონის თარგი, რომლის კვეთის გაბარიტული ზომები 900×500 მმ-ია;

ქვაბულის ფერდის მდგრადობის და ასაშენებელი შენობის ფუძეში განვითარებული ძაბვების გავლენისგან მომიჯნავე არსებული შენობების უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით, პროექტის შესაბამისად, ბეტონის თარგის მიხედვით ეწყობა ერთმანეთში ჩასმული ნაბურღ-ნატენი ბეტონის (D=600 მმ; L=8.0 მ;) და რკინაბეტონის ხიმინჯების (D=600 მმ; L=20.0 მ) ფარდა (ე.წ. „კედელი გრუნტში“) სამაგრი მილის

(обсадная труба) მეშვეობით. ხიმინჯების ფარდის თავზე ეწყობა რანდკოჭი განივი კვეთით 600×500 მმ.

პროექტის შესაბამისად მონტაჟდება რკინაბეტონის ფილა-ხიმინჯოვანი საძირკვლის ნაბურღ-ნატენი კიდული ხიმინჯები სამაგრი მილის (обсадная труба) მეშვეობით, რომელთა თავის ნიშნულია 459.2 მ, დიამეტრი D=1000 მმ; სიგრძე L=15.0მ;

შემდეგ სრულდება ქვაბულის დამუშავების II ეტაპის სამუშაოები 457.2 მ. ნიშნულამდე. ქვაბულის ფსკერზე ტარდება წყალქცევითი სამუშაოები (დრენაჟი) ატმოსფერული და გრუნტის წყლების მოცილების მიზნით;

პროექტის შესაბამისად ქვაბულის ფსკერზე ეწყობა 0.5 მ სიმაღლის შემკვრივებული ღორღის ფენა;

ქვაბულის ფერდის დამჭერი კედლის ვერტიკალური ზედაპირი დამუშავდება და ეწყობა წელვადი ჰიდროიზოლაცია;

მოეწყოს რკ/ბ-ის მომზადების 2 ფენა B22.5 (C25/30) კლასის ბეტონისგან, რომელთა შუაში უნდა მოეწყოს წელვადი ჰიდროიზოლაცია;

მუშა პროექტის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო ნაწილის, ასევე მშენებლბის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად, სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა დაამუშაოს მშენებლობის წარმოების პროექტი საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. მშენებლობის წარმოების პროექტის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კონსტრუქციული ელემენტების ანგარიში. მშენებლობის წარმოების პროექტი წარმოდგენილ უნდა იყოს დამკვეთთან და საპროექტო ორგანიზაციასთან განხილვის მიზნით.

ქვაბული და თითოეული ხიმინჯის ბურღილის გამონამუშევარი მიღებულ იქნას ინჟინერ-გეოლოგის მიერ, შედგეს შესაბამისი აქტი სამშენებლო წესების და ნორმების მიხედვით.

პროექტში მოყვანილია ქვაბულის ფერდოების გამაგრების სქემები რკინაბეტონის ნარანდებისა და რკინაბეტონის ფარდის (კედელი გრუნტში) საშუალებით, რაც შეუძლებელს ხდის ქვაბულის კედლების ჩამოქცევას და განაპირობებს სამშნებელო მოედნის მიმდებარე ნაგებობების მდგრადობას.

ქვაბულიდან გრუნტის ამოღება ხდება საშუალო ან მცირე გაბარიტიანი უკუჩამჩიანი ექსკავატორის გამოყენებით და ხელით. პროექტის მიხედვით სამშენებლო მოედანზე ხიმინჯების მოწყობისათვის ჭების გათხრა უნდა მოხდესროტორის ტიპის მანქანით. ქვაბულის და ფუძის ამგვარად მოწყობა განაპირობებს ქვაბულის კედლების ჩამოშლის თავიდან აცილებას და მიმდებარე შენობა - ნაგებობების მდგრადობას.

გრუნტის გატანა სამშენებლო მოედნიდან ხდება მცირე და საშუალო გაბარიტიანი ავტოთვითმცლელებით. გრუნტის ავტომანქანებზე დატვირთვა ქვაბულში გრუნტისა და ხვინჭის უკუჩაყრა ხდება მცირეგაბარიტიანი დამტვირთველით და ხელით. რაც გამორიცხავს სამშენებლო პროცესის ზეგავლენას მიმდებარე ნაგებობათა მდგრადობაზე.

სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის მიხედვით, ყველა სამუშაოს განხორციელება ხდება საქართველოს მთავრობის 2007 წ. 28 მარტის №62 დადგენილების - „მშენებლობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც გამორიცხავს სამშენებლო პროცესის მეზობელ ნაგებობებზე ზემოქმედებას.

სამუშაოების უაღრესად შემჭიდროვებულ პირობებში წარმოების აუცილებლობიდან გამომდინარე ოპტიმალურად არის დაგეგმილი მოსამზადებელ პერიოდში დროებითი ნაგებობების მოწყობის, პერსონალის მობილიზაციის და სამშენებლო ტექნიკის შერჩევის ღონისძებები. სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე გათვალისწინებულია როგორც მშენებარე, ასევე მიმდებარე ნაგებობების მონიტორინგი.

უშუალოდ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების მიმდევრობა სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია და შერჩეული მანქანა-მექანიზმები სრულყოფილად იძლევა

საშუალებას პროექტით გათვალისწინებული ნაგებობის კონსტრუქციების მშენებლობის პროცესი განხორციელდეს მეზობელ ნაგებობებზე ზეგავლენის მინიმიზაციის პირობებში. პროექტში ასევე გათვალისწინებულია ღონისძიებები სამშენებლო სამუშაოების პროცესში უსაფრთხო პირობების და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე საექსპერტოდ წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, შესრულებულია მაღალ დონეზე, როგორც შინაარსობრივად ასევე გაფორმებით და სრულ შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან და სახელმწიფო რეგულაციებთან. ამიტომ პროექტში დამუშავებული რეკომენდაციები და მითითებები სრულყოფილად უნდა იქნას გათვალისწინებული სამშენებლო კომპანიის მიერ, როგორც სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავებისას, ასევე უშუალოდ მშენებლობის პროცესში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.11.022.002) შერეული ფუნქციიის მრავალსართულიანი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესწავლის საფუძველზე ადგენს, რომ ისინი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და სხვა სახელმწიფო რეგულაციების სრული დაცვით, შესაბამისად აღნიშნული შენობა, ვერც მშენებლობის პროცესში და ვერც მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მისი ექსპლოატაციის პერიოდში გავლენას ვერ მოახდენს მეზობელი ნაგებობების - ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87ბ (ს/კ 01.14.11.022.005) და ი. მოსაშვილის ქუჩა №24-ში (ს/კ01.14.11.022.012)მდგარი შენობების მდგრადობაზე და მათ უსაფრთხო ექსპლოატაციაზე.

4. საექსპერტო დასკვნა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ქ. თბილისში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.11.022.002) შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესწავლის და სამშენებლო მოედნის მიმდებარე, ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87ბ (ს/კ 01.14.11.022.005) და ი. მოსაშვილის ქუჩა №24-ში (ს/კ 01.14.11.022.012) მდებარე შენობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ადგენს:

1. ქ. თბილისში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში(ს/კ 01.14.11.022.002) მდებარე მიწის ნაკვეთის ზ. ფალიაშვილის ქუჩა №87ბ (ს/კ 01.14.11.022.005) და ი. მოსაშვილის ქუჩა№24-ში (ს/კ 01.14.11.022.012) მდებარე შენობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული შენობები საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის СП 22.13330.2011 „ОСНОВАНИЯ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ”, დანართი „Е“, ცხრილი Е.1-ის მიხედვით, არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და ტექნიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

2. ქ. თბილისში, ი. მოსაშვილის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.11.022.002), შერეული ფუნქციის მრავალსართულიანი სახლის პროექტი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და სხვა სახელმწიფო რეგულაციების სრული დაცვით. ამიტომ იგი როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მისი ექსპლოატაციის პერიოდში ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე და განაპირობებს მათ უსაფრთხო ექსპლოატაციას. მისი ზეგავლენით მიმდებარე ნაგებობებზე არ შეიძლება განვითარდეს ჯდომითი ან სხვა ხასიათის დაზიანებები;
3. ხიმინჯების მოწყობისათვის ჭების გათხრა და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოება, ვიბრაციების თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარეობს პროექტის

შესაბამისად მძიმე ტექნიკის გამოყენების გარეშე, ძირითადი სამუშაოები სრულდება მცირე ან საშუალო გაბარიტიანი სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით, რაც გამორიცხავს სამშენებლო პროცესის მეზობელ ნაგებობებზე ზემოქმედებას;

4. ქვაბულის პროექტში, რომელიც შესრულებულია ნორმატიული დოკუმენტების СНиП 3.02.01-87 „Земляные сооружения, основания и фундаменты“ მოთხოვნების სრული დაცვით, ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით, გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მეზობელი შენობების მდგრადობას და უსაფრთხოებას. კერძოდ, პროექტში მოყვანილია ქვაბულის ფერდოების გამაგრების სქემები რკინაბეტონის ნარანდებისა და ეკრანების (კედელი გრუნტში) საშუალებით, რაც შეუძლებელს ხდის ქვაბულის კედლების ჩამოქცევას და განაპირობებს სამშნებელო მოედნის მიმდებარე ნაგებობების მდგრადობას;
5. სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის მიხედვით, ყველა სამუშაოს განხორციელება ხდება, საქართველოს მთავრობის 2007 წ. 28 მარტის №62 დადგენილების - „მშენებლობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც გამორიცხავს სამშენებლო პროცესის მეზობელ ნაგებობებზე ზემოქმედებას და განაპირობებს მათ უსაფრთხოებას.

5. ლიტერატურა

1. სამშენებლო ნორმები და წესები - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09);
2. СНиП II-22-81 „КАМЕННЫЕ И АРМОКАМЕННЫЕ КОНСТРУКЦИИ“;
3. Пособие по обследованию строительных конструкции здании. АО <<ЦНИИПРОМЗДАНИИ>>, Москва 1997;
4. СНиП 3.01.01.85 „Организация строительного производства“;
5. СНиП 3.02.01-87 „Земляные сооружения, основания и фундаменты“.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მოამზადეს ექსპერტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტებმა:

წინასწარი შეცნობით ყალბი დასკვნის გაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვართ ს.ს.ს.კ. 370-ე მუხლით.

შემსრულებლები: ზ. გუბელიძე

ი. სალუქვაძე



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6



სურათი 7



სურათი 8